

ისტორია 8 ● ისტორიის სახელმძღვანელო მირვეპლასელთათვის

გიორგი სანიკიძე, რევაზ გაჩეჩილაძე,
ლევან გორდეზიანი, ნინო კილურაძე,
ზვიად მიმინოშვილი

8

ისტორია

მოსწავლის წიგნი

გრიფი მიენიჭა ს.ს.ი.პ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ
(ბრძანება N 375, 18.05.2012).



სარჩევი

კონფლიქტები ძველ მსოფლიოში

I
თავი

1. კონფლიქტის ტიპოლოგია: ომები ქვეყნებს შორის
და შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტები
8
2. ძველი ეგვიპტურების ომები
13
3. ასურეთის ომები
(მსოფლიო იმპერიის შექმნის პირველი მცდელობა)
16
4. ბერძნ-სპარსელთა ომები
19
5. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა
22
6. რომი და კართაგენი (პუნიკური ომები)
26



9



22

II
თავი

7. ბიზანტიისა და სასანიანთა ირანის
დაპირისპირება VI-VII საუკუნეებში
30
8. არაბთა სახალიფო
34
9. თურქ-სელჩუკები ახლო აღმოსავლეთში.
მანაზკერტის ბრძოლა
39
10. ჯვაროსნული ომები
43
11. ოსმალეთის იმპერია. ბიზანტიის იმპერიის დაცემა
და მისი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა
48



39



46



50

III
თავი

12. ქალაქები და მათი ბრძოლა თავისუფლებისათვის
შუა საუკუნეების ევროპაში
53
13. კონფლიქტი სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის
შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში
58
14. ბრძოლა ჰეგემონობისათვის ესპანეთსა და ინგლისს
შორის XVI-XVII საუკუნეებში
ნიდერლანდების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის
ოცდაათწლიანი ომი და ვესტფალიის ზავი:
რელიგიური და პოლიტიკური
დაპირისპირება ევროპაში
63
15. ინგლისის რევოლუცია
68
16. საფრანგეთი: 1789 წლის რევოლუცია,
რესპუბლიკიდან იმპერიამდე
74
17. ნაპოლეონის ომები
80
18. საგარეო-პოლიტიკური წინააღმდეგობები
89
19. XIX საუკუნის ევროპაში
96



58



63



70



89

კონფლიქტები ამერიკის ტერიტორიაზე



102



107




121



134



138



144



147



151



161

IV
თავი

- | | | |
|-----|--|-----|
| 20. | კორტესისა და პისაროს ლაშქრობები | 102 |
| 21. | ბრძოლა აშშ-ის დამოუკიდებლობისათვის | 105 |
| 22. | სამოქალაქო ომი აშშ-ში | 109 |
| 23. | ბრძოლა სამხრეთ ამერიკის გათავისუფლებისთვის | 113 |

რუსეთი და კავკასია

V
თავი

- | | | |
|-----|---|-----|
| 24. | კავკასია (მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული მიმოხილვა) | 116 |
| 25. | სამხრეთ კავკასიის დაპყრობა რუსეთის მიერ | 121 |
| 26. | კავკასიის ომი და მისი შედეგები | 125 |

მსოფლიო ომები

VI
თავი

- | | | |
|-----|---|-----|
| 27. | I მსოფლიო ომი: მონაწილე მხარეები, ომის შედეგები | 129 |
| 28. | რევოლუციები და სამოქალაქო ომი რუსეთში | 134 |
| 29. | II მსოფლიო ომი: წინაპირობები, | |
| 30. | მონაწილე მხარეები, ომის შედეგები | 138 |
| | საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის საფუძვლები | 144 |

პოლიტიკური კონფლიქტები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

VII
თავი

- | | | |
|-----|--|-----|
| 31. | ცივი ომი | 146 |
| 32. | ცივი ომის დროინდელი კონფლიქტები
(ვიეტნამი, ავღანეთი) | 151 |
| 33. | ისრაელი და არაბული სამყარო | 157 |
| 34. | ეთნიკურ-პოლიტიკური კონფლიქტები
ყოფილ იუგოსლავიაში და მისი დაშლა | 163 |
| 35. | საბჭოთა კავშირის ტერიტორიული სტრუქტურა
და კავშირის დაშლა | 168 |
| 36. | რუსეთის გამოუცხადებელი ომი საქართველოში | 174 |

კონფლიქტები და მათი მშვიდობიანი გადაჭრის გზები

VIII
თავი

- 37. არაძალადობრიობა — კონფლიქტების მოგვარების მშვიდობიანი გზა: მაპათმა განდი 178
- 38. მარტინ ლუთერ კინგი და აფრო-ამერიკელების ბრძოლა სამოქალაქო თანასწორობისათვის 182
- 39. 1989-1990 წლების „ხავერდოვანი რევოლუციები“ ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში 187



178



184


IX
თავი

პოლიტიკური რეჟიმები და მმართველობის სისტემები

- 40. პოლიტიკური რეჟიმების სახეები 193
- 41. ძველი აღმოსავლეთის პოლიტიკური რეჰიმები 198
- 42. ძველი საბერძნეთის პოლისების მმართველობის ფორმები 201
- 43. რომის რესპუბლიკა და იმპერია. რომაული სამართალი 204
- 44. კონსტიტუციური მონარქია და პარლამენტარიზმი ინგლისში 208
- 45. აბსოლუტიზმი საფრანგეთში 212
- 46. საფრანგეთი დიდი რევოლუციიდან მეხუთე რესპუბლიკამდე 216
- 47. „მეიდის რესტავრაცია“ იაპონიაში 223
- 48. ათათურქის რეფორმები 228
- 49. ფრანკოს მმართველობა ესპანეთში 223
- 50. ჰიტლერის მმართველობა გერმანიაში 237
- 51. მუსოლინის მმართველობა იტალიაში 242
- 52. სტალინის მმართველობა საბჭოთა კავშირში 247
- 53. ამერიკული დემოკრატია 252



198



204



216



228



242



257

რელიგია

X
თავი

- 54. რელიგიების კლასიფიკაცია 256
- 55. მონოთეისტური რელიგიები 260

ვაჭრობა და მოგზაურობა



266

- | | | |
|------------|--|------------|
| 56. | შორეული მოგზაურობებისა და დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დასაწყისი | 266 |
| 57. | დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და მათი ეკონომიკური მნიშვნელობა | 272 |
| 58. | დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დემოგრაფიული და კულტურული შედეგები | 276 |
| 59. | ვაჭრობა და ფული, ბაზარი, ბიზნესი და მენარმეობა | 281 |
| 60. | ძველი ქართველი მოგზაურები | 286 |



281

ხელოვნება და სპორტი



289

- | | | |
|------------|--------------------------------|------------|
| 61. | საგმირო ეპოსი. ზნეობის კოდექსი | 289 |
| 62. | სპორტი | 293 |



293

კომუნიკაცია




304

- | | | |
|------------|---|------------|
| 63. | დამწერლობის წარმოშობა და მისი უძველესი სახეები, ანბანური დამწერლობა | 299 |
| 64. | ინფორმაციის გადაცემის საშუალებები (ხელნაწერი წიგნები, წიგნის ბეჭდვა, პრესა, ფოსტა და ტელეგრაფი) | 302 |
| 65. | თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები (ელექტრონული საკომუნიკაციო და საინფორმაციო საშუალებები) | 307 |



309

ადამიანი და საზოგადოება



314

- | | | |
|------------|--|------------|
| 66. | უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანესი კერები შუა საუკუნეების ევროპასა და საქართველოში | 311 |
| 67. | განათლების მნიშვნელობა. განათლების თანამედროვე სისტემა | 314 |
| 68. | ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები | 318 |
| 69. | ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია | 321 |
| 70. | კონფლიქტი და მისი ტიპები | 324 |
| 71. | ურთიერთობისა და ქცევის კულტურა საზოგადოებაში. ეტიკეტი | 326 |
| 72. | ჰერალდიკა წარსულში და თანამედროვე სიმბოლოები | 329 |
| 73. | კანონის უზენაესობა და კონსტიტუცია | 332 |
| 74. | საქართველოს კონსტიტუცია | 335 |



326

1. კონფლიქტის ტიპოლოგია: როგორ ქვეყნებს შორის და შილა სახალმწიფოებრივი კონფლიქტები

როგორ ქვეყნებს შორის

ომისა და მშვიდობის საკითხი კაცობრიობის მარადიული თავსატეხია. ეს ის მსოფლიო-პოლიტიკური საკითხია, რომელზეც თითოეული ჩვენებანის ბედია დამოკიდებული. კაცობრიობა თავისი არსებობის მანძილზე მუდმივად ომებშია ჩაბმული და ასევე მუდმივად, მარადიული თუ არა, ხანგრძლივი და მყარი მშვიდობის ძიებაშია.

რატომ ხდება ომები ერთა შორის? რამდენად შესაძლებელია მათი თავიდან აცილება? რა გზით შეიძლება მშვიდობის უზრუნველყოფა? ამ მთავარ შეკითხვებზე პასუხის გაცემას ცდილობდნენ ადამიანები, მოაზროვნეები თუ პოლიტიკური მოღვაწეები სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში და ცდილობენ დღესაც.

ერთი ფიქრობენ, რომ ომის მიზეზები ადამიანის ბუნებაში უნდა ვეძიოთ და ეს მიზეზები მარადიულია, როგორც კაენის ცოდვა. XX ს.-ის ერთ-ერთი ცნობილი ბრიტანელი მეცნიერის, ედვარდ ქარის განმარტებით, მუდმივად იარსებებენ „მქონენი“ და „არმქონენი“. პირველი ყოველთვის ეცდებიან დაიცვან ის, რაც გააჩნიათ, მეორენი კი – მოიპოვონ ის, რაც არა აქვთ, რაც, მართალია, სხვისია, მაგრამ მათთვის სასურველია. ამდენად, ქარის მსგავსად ბევრი ფიქრობს, რომ ადამიანის ბუნებიდან გამომდინარე, გაცილებით დიდია ალბათობა ერებს შორის ძალისმიერი დაპირისპირებისა, ვიდრე მათი მშვიდობიანი თანაარსებობისა. შესაბამისად, შეიარაღებული კონფლიქტები და ომები გარდაუვალი მოვლენებია. ამგვარ მიდგომას ომისა და მშვიდობის საკითხისადმი ზოგადად, რეალისტური ეწოდება.

მაგრამ ყოველთვის არსებობდნენ და დღესაც არსებობენ ოპტიმისტები, რომლებიც დარწმუნებულები იყვნენ და არიან იმაში, რომ შესაძლებელია ლაგამი ამოსდო აღვირახსნილ ძალომრებას, შეზღუდო მგლური, ჯუნგლე-



1937 წელს, ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს, სააგიაციო დაბომბვის შედეგად, მთლიანად დაინგრა ქალაქი გერნიკა. ასე გამოსახა მხატვარმა პაბლო პიკასომ გერნიკას ტრაგედია.



მშვიდობის სიმბოლო — მტრედი (პაბლო პიკასოს ნახატი)

ბის კანონები (მგელი ჭამს ცხვარს, ძლიერი ამარცხებს სუსტს) ადამიანური კანონებით და ერთა შორის არსებული ანარქია (უმართაობა) საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქციო. ოპტიმისტურად განწყობილთა შორის არიან ისეთი თვალსაჩინო მოაზროვნები, როგორებიცაა ჰუგო გროციუსი და იმანუელ კანტი. პირველმა დაწერა წიგნი „ომისა და მშვიდობის სამართლის შესახებ“ (XVII ს.-ში), მეორემ კი, ერთი საუკუნით გვიან, ნაშრომი „მარადიული მშვიდობის შესახებ“.

ერთა შორის ურთიერთობების სამართლებრივი მოწესრიგების ეს ოპტიმისტური რწმენა განსაკუთრებით განამტკიცა გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების მიჯნაზე მომხდარმა ძირეულმა გარდატეხამ, რაც საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა სისტემის დაშლაში გამოიხატა. ჩვენი თანამედროვე ოპტიმისტების აზრით, საბჭოთა სისტემა საბოლოოდ დამარცხდა თავისუფალ საბაზრო მეურნეობასა და დასავლურ დემოკრატიულ სისტემასთან ხანგრძლივ ჭიდილსა და ქიმპობაში. მათი აზრით, საბჭოთა სისტემის დანგრევით დასავლურ ღირებულებებს, კერძოდ, ლიბერალურ ეკონომიკასა და დემოკრატიას, გზა გაეხსნა მთელ მსოფლიოში დამკვიდრებისათვის. ამ რწმენიდან გამომდინარე, ოპტიმისტები ფიქრობდნენ, რომ მსოფლიოში იქმნება პირობები „დემოკრატიული მშვიდობისათვის“, რაც ნიშნავს, რომ ერთნაირი სამეურნეო-პოლიტიკური წყობის მქონე სახელმწიფოები, ამ შემთხვევაში ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნები, ერთმანეთს იარაღით არ დაუპირისპირდებიან, აღარ იომებენ. ისინი სადავო საკითხებს მხოლოდ და მხოლოდ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დაცვით გადაწყვეტენ.

ოპტიმისტებს (მათ „იდეალისტებსაც“ უწოდებენ) ცივი წყალი გადასხეს ე.ნ. „რეალისტებმა“, როცა შეახსენეს რამდენიმე მაგალითი იმისა, რომ დემოკრატიულობა სულაც არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, ეომონ ერთმანეთს (მაგ., 1812 წელს ბრიტანეთ-აშშ-ის ომი).

ოპტიმისტებს იდეალისტებს იმიტომ უწოდებენ, რომ მათი დამოკიდებულება ომისა და მშვიდობის საკითხისადმი ძირითადად ეფუძნება მოსაზრებას – „როგორი უნდა იყოს“ საწადელი, იდეალური ურთიერთობები და წესრიგი ერთა შორის. აქედან გამომდინარე, რეალისტებს ისინი მეოცნებებად მიაჩნიათ და ფიქრობენ, რომ სინამდვილე უნდა მივიღოთ ისე, „როგორც არის“. მაგრამ ოცნებას საფუძველი გააჩნია და ხშირ შემთხვევაში შესრულებადია, მათ შორის კაცობრიობისათვის ამ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხზე ოცნებაც.



მშვიდობისთვის მებრძოლი ინგლისელი მომღერალი ჯონ ლენონი და მისი მეუღლე პლაკატით: „ომი დასრულდა! (თუ შენ ეს გუშრს)“.

შიდა სახელმთიროებრივი კონფლიქტები

სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტების გვერდით არსებობს შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტებიც. ამგვარ კონფლიქტებსაც ისეთივე ძველი ისტორია აქვს,

როგორც საკუთრივ სახელმწიფოს. შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტი შეიძლება გადაიზარდოს სამოქალაქო ომში – ერთი ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ძალას შორის შეიარაღებულ დაპირისპირებაში.

შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტის არაერთი განმაპირობებელი მიზეზი არ-სებობს. მათ შორისაა ბრძოლა მმართველ დაჯგუფებას (პოლიტიკურ ელიტას) და საზოგადოების გარკვეულ ნაწილს შორის; პოლიტიკურ ელიტაში არსებულ სხვადასხვა დაჯგუფებას შორის; პოლიტიკურ პარტიებს შორის; ხელისუფლების სხვადასხვა შტოს (იხ. შესაბამისი თავი) შორის და ა.შ.

შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტი შეიძლება შემდეგი შედეგებით დასრულდეს: მმართველმა ძალამ მოახერხოს ხელისუფლების სრულად აღდგენა; მმართველი ძალის ერთმა ნაწილმა გამოდევნოს მეორე და საკუთარი ძალაუფლება დაამყაროს; გარკვეულმა პოლიტიკურმა ძალებმა, შეთქმულების გზით მოახერხონ ძალაუფლების ხელში ჩაგდება; შეიარაღებულმა ძალებმა, ხელისუფლების მმართველობით უკმაყოფილების გამო, ხელში აიღონ ძალაუფლება. დაბოლოს, საზოგადოების დიდი ნაწილის ხელისუფლების პოლიტიკით უკმაყოფილება შესაძლოა დასრულდეს საყოველთაო ამბოხით, რევოლუციით და ამ გზით შეიცვალოს ხელისუფლება.

შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი შეიძლება წარმოადგენდეს ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის დაპირისპირებას, რაც შეიძლება

ცყარო 1

ომისა და მშვიდობის საკითხი ბიბლიაში

მიქა წინასწარმეტყველი 4,3:

„უკანასკნელ დღეებში იქნება... განიკითხავს უფალი სამართალს უამრავ ხალხს შორის და მსჯავრს დასდებს ძლიერ ხალხებს შორეთამდე; თავიანთ მახვილებს სახნისებად გამოჭედავენ და შუბისწვერებს — ნამგლებად; ხალხი ხალხის წინააღმდეგ აღარ აღმართავს მახვილს და ომს აღარასოდეს ისწავლიან.“

ცყარო 2

რომაელი პოლიტიკოსი ციცერონი (ძვ.წ. 106-43) სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ:

„ომში ჩაბმულმა სახელმწიფომ უნდა დაიცვას სამართალი (კანონები). კერძოდ, საქმის მოგვარების ორი შესაძლებლობა არსებობს: მოლაპარაკებისა და ძალადობის გზით. უკანასკნელი მხეცთა წესია, პირველი — ადამიანების. შესაბამისად, ძალას უნდა მიმართო მხოლოდ მაშინ, როცა მოლაპარაკება შეუძლებელია. ომი უნდა აწარმოო იმისათვის, რომ იცხოვოთ მშვიდობიან გარემოში და არ აღმოჩნდე უსამართლობისა და განუკითხაობის ტყვეობაში.“

„საუკეთესო სახელმწიფომ სხვა არავითარი ომი არ უნდა წამოიწყოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიცემული სიტყვა აქვს შესასრულებელი ან საკუთარი უსაფრთხოება უზრუნველაყოფელი....“

უსაფუძვლოდ წამოწყებული ომი უსამართლო ომია, რადგან ომი სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს მტერზე შურისძიებასთან ან მისგან თავდაცვის აუცილებლობასთან.

ვერცერთი ომი სამართლიან ომად ვერ შეფასდება, თუკი ის წინასწარ არაა გამოცხადებული“.

მასობრივ სისხლისღვრაში გადაიზარდოს (ამგვარი ტრაგედია მოხდა 1994 წელს აფრიკულ სახელმწიფო რუანდაში, სადაც ეროვნულ შუღლს მიღიონამდე ადამიანი ემსხვერპლა). კონფლიქტი შეიძლება დაიწყოს რელიგიურ ნიადაგზე (ამგვარი იყო ლიბანის ხანგრძლივი სამოქალაქო ომი 1975-1991 წლებში).

დაბოლოს, შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტის ხელშემწყობი შეიძლება გახდეს უცხო სახელმწიფო, რომელიც კონფლიქტის უშუალო მონაწილედ და წარმართველ ძალადაც იქცევა; შესაბამისად, კონფლიქტი უკვე იღებს სახელმწიფო-თაშორისო კონფლიქტის ხასიათს (ამგვარად მოიქცა რუსეთი საქართველოს მიმართ ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოსახლეობის ერთი ნაწილის საქართველოს წინააღმდეგ წაქეზებით და შემდეგ სამხედრო ინტერვენციით დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიაზე).

ცხარო 3

აღორძინების ხანის ცნობილი იტალიელი მთაზროვნისა და პოლიტიკური მოღვაწის, ნიკოლო მაკიაველის (1469-1527) რჩევა მთავარს (ხელისუფალს) სახელმწიფოსათვის სასარგებლო, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად:

„უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ბრძოლის ორი სახე: ერთი ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე — ძალის მეშვეობით. პირველი ნიშნებულია (დამახასიათებელია) ადამიანისათვის, მეორე კი შეცისათვის. მაგრამ რაკი პირველი ხშირად არასაკმარისია, ძალაუნებურად უნდა მივმართოთ ხოლმე მეორეს, ამიტომ მთავრისათვის აუცილებელია, რომ თანაბარი წარმატებით იბრძოდეს როგორც მხეცი და როგორც კაცი....

ყველა კაცი რომ კარგი და კეთილი იყოს, ამნაირი ქცევა (დადებული აღთქმის, მიცემული პირობის დარღვევა) უკეთერი იქნებოდა, მაგრამ რაკი ისინი ბოროტნი არიან და გამუდმებით არღვევენ იმას, რაც აღგვითქვეს, შენ რატომ უნდა უერთვულო შენს აღთქმას მათ მიმართ? მთავარს არასდროს გამოელევა იმის კანონიერი მიზეზი, რომ გაამართლოს თავისი ორპირობა.“

ცხარო 4

მშვიდობის იდეა განმანათლებლებთან

გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი (1724-1804):

„ადამიანების მშვიდობიანი თანაარსებობა არაა ბუნებრივი მდგომარეობა..., არამედ უფრო საომარი მდგომარეობაა, იმ გაგებით, რომ მაშინაც კი, როცა მჭრობა ჯერ არ გამოვლენილა, არსებობს ამ გამოვლინების მუდმივი და საყოველთაო საფრთხე. ამდენად, მშვიდობა უნდა დამყარდეს (კანონით). მეზობლებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობა შესაძლებელია მხოლოდ სამართლებრივ გარემოში. (კანონის გარეშე) ერთი მეორეს მტრულად მოექცევა... ვინაიდან ამჟამად მსოფლიოს ხალხთა... თანამეგობრობა იმდენად განვითარდა, რომ დედამიწის ერთ რომელიმე მხარეში კანონის დარღვევა ყველა დანარჩენზე აისახება, მსოფლიოს სამოქალაქო სამართლის იდეა სულაც აღარაა ფანტასტიკური და გაზვიადებული სამართლებრივი წარმოდგენა, არამედ დაუწერელი კოდექსის (კანონთა ერთობლიობის), სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის აუცილებელ დამატებას წარმოადგენს როგორც ზოგადად ადამიანის საჯარო უფლებების, ისე მარადიული მშვიდობის მიმართულებით განვითარებისათვის.“

ცყარო 5

გერმანელი სამხედრო მოღვაწე ფონ მოლტკე ომისა და მშვიდობის შესახებ (1880 წ.):

„მარადიული მშვიდობა ოცნებაა და თანაც არც მაინცდამაინც მშვენიერი. ომი კი ღვთიური მსოფლიო წესრიგის განუყოფელი ნაწილია. სწორედ ომში ვლინდება და ვითარდება ადამიანების ყველაზე კეთილშობილი ზრახვები და მისი სიქველე, სიმამაცე და თავგანწირვა, ერთგულება და მოვალეობის გრძნობა... ომის გარეშე სამყარო... ჭაობში ჩაიძირებოდა“.



კლასი სამუშაო

1. ომის თავიდან აცილების რა ხერხია მოცემული ციცერონის ნააზრევში?
2. წყარო 2-ში აღმოაჩინეთ და გამოკვეთეთ ის ადგილები, რომლებიც მიგვანიშნებენ ციცერონის დროინდელ რომში საერთაშორისო სამართლებრივი მარეგულირებელი ნორმების არსებობაზე.
3. შეადარეთ ერთმანეთს ციცერონისა და მაკიაველის დამოკიდებულება ბრძოლის სამართლებრივი და ძალისმიერი მეთოდებისადმი. რა აღმოაჩინეთ მათ შორის საერთო და რა განსხვავებული?
4. კანტის აზრით, რა ხერხით შეიძლება მშვიდობის უზრუნველყოფა?
5. ისაუბრეთ შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტების მიზეზებზე. რა შემთხვევაში იქცევა ამგვარი კონფლიქტი სახელმწიფოთაშორის კონფლიქტად?



საჯინაო დავალება

1. ყურადღებით შეისწავლეთ თქვენი თანატოლების მიერ შედგენილი სქემა. მოემზადეთ და შემდეგ კლასში იმსჯელეთ სქემაში ასახულ ომის თითოეულ მიზეზზე. შეეცადეთ განავრცოთ ომის გამომწვევ მიზეზთა მოცემული ჩამონათვალი. ამისათვის მოიშველიეთ პარაგრაფის ტექსტი და წყაროები.

პროცედურული დავა საზღვრებისა და მიწების გამო

პროცედურული და განვითარებისათვის აუცილებელი რესურსებისათვის (რომლებიც მწირია და ამოწურვადი)

რატომ ხდება ომები?

სახელმწიფოს სამხედრო ძალის გაზრდა გარედან მომდინარე საფრთხეების შიშით

ფურადლების გადატანა შიდაპოლიტიკური პრობლემებიდან

სხვა სახელმწიფოების ძალისა და განზრახვების მცდარი შეფასება

2. ძველი ეგვიპტის მმართველობის მიზანი


ათასწლეულების მანძილზე ეგვიპტე გარე სამყაროსგან თითქმის იზოლირებულად ვითარდებოდა. ფარაონები სჯერდებოდნენ ლაშქრობებს უდაბნოებში არსებული ოაზისებისა და ნილოსის აღმა მდებარე ნუბიის (დღევანდელი ეთიოპია) წინააღმდეგ. ნუბია იყო ოქროსა და სპილოს ძვლის, აგრეთვე ტყვეების ძირითადი წყარო.

ძ.წ. XVII საუკუნეში ეგვიპტე დაიპყრეს აზიდან მოსულმა გაურკვეველი წარმომავლობის ტომებმა – ჰიესოსებმა. ბერძნ. „ჰიესოსები“ წარმოსდგება ეგვიპტური „უცხოელი მმართველებიდან“. მანეთონი ეგვიპტის, მმართველი, პტოლემაისების დინასტიის კარზე მოღვაწე ქურუმი და ისტორიკოსი, მათ „მწყემსების მეფეებს“ უწოდებს. უკვე ანტიკურ სამყაროში იყო მცდელობა ჰიესოსების დაკავშირებისა ეპრაელთა ეგვიპტურ თავგადასავალთან.

სამხედრო აღჭურვილობაში დიდი უპირატესობის გამო (მათ ჰქონდათ დიდი, მორსმსროლელი მშვილდები, ჯაჭვის პერანგები და საბრძოლო, ცხენშებმული ეტლები) ჰიესოსებმა იოლად დაამარცხეს ეგვიპტე და დაეპატრონენ მის ჩრდილოეთ ნაწილს – ნილოსის დელტას. სამაგიეროდ, ეგვიპტელებმა მოახერხეს მათი კულტურული ასიმილაცია, მოგვიანებით კი – დამარცხება და ძალაუფლებას ჩამოშორება.

ჰიესოსების მოტანილი სამხედრო აღჭურვილობა, განსაკუთრებით კი საბრძოლო ეტლი – ძველი დროის „ტანკი“, გამოადგათ ეგვიპტელებს წარმატებული შორეული დაპყრობითი ლაშქრობების საწარმოებლად.

ეტლი ძველ აღმოსავლეთში დიდი ხნის მანძილზე გამოიყენებოდა, პირველ ყოვლისა, მეფისა და სარდლობის გადაადგილებისათვის. მასში სახედრებს ან ხარებს აბამდნენ. ძველმა ხალხებმა, მათ შორის შუმერებმა, ცხენიციცოდნენ, მაგრამ მას დიდად არ იყენებდნენ, რაც თუნდაც იქიდან ჩანს, რომ შუმერები ცხენს „მთის ვირს“ ეძახდნენ. ცხენშებმული ეტლი გახდა არა მარტო სწრაფი გადაადგი-



ეგვიპტელი მეომრები



ეგვიპტური საბრძოლო ეტლი



ფარაონი რამსეს II